# თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

# ბიუროს სხდომის

# ო ქ მ ი № 23

„13“ დეკემბერი 2018 წ. ქ. თელავი

თავმჯდომარეობდა : თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიგა ორკოდაშვილი, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე დავით ღაღანიძე, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე დავით გოგოშვილი, ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე შათირიშვილი, სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ლევან კოჭლოშვილი, ფრაქციის ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე ლევან ლილუაშვილი, ფრაქციის ,,ქართული ოცნება - მრეწველები“ თავმჯდომარე ტიტე დარეჯანიშვილი, ფრაქციის „ქართული ოცნება - მწვანეები“ თავმჯდომარე გიორგი ჩაბრაშვილი, ფრაქციის „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ თავმჯდომარე არჩილი თვალიაშვილი, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე ალექსი მულიაშვილი, ფრაქციის ,,ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ქიზიყელაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის უფროსი ტარიელ გალახვარიძე.
საკრებულოს აპარატის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სოფიო ოხანაშვილი.

## დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. საკრებულოს მიერ მისაღებ ნორმატიულ აქტთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

2. თელავის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული პროექტების საკრებულოს კომისიებში განსახილველად გადანაწილების შესახებ.

1.მოისმინეს: საკრებულოს მიერ მისაღებ ნორმატიულ აქტთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

გადაწყვიტეს: 1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება საკრებულოს მიერ მისაღებ შემდეგ ნორმატიულ აქტთან დაკავშირებით:

ა) თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ.

2. სამართლებრივი აქტის პროექტის კომისიებში განხილვა განხორციელდეს 2018 წლის 20 დეკემბრამდე.
3. სამართლებრივი აქტის პროექტი საკრებულოს დასამტკიცებლად წარედგინოს 2018 წლის 28 დეკემბრამდე.

2.მოისმინეს: მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული პროექტების საკრებულოს კომისიებში განსახილველად გადანაწილების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: დ.ღაღანიძემ, ა,შათირიშვილმა, ლ.კოჭლოშვილმა

ა.თხლაშიძემ აღნიშნა, რომ ფრაქციებს შეუძლიათ თავიანთი შეხედულებისამებრ განიხილონ ნებისმიერი საკითხი ფრაქციის სხდომაზე.

გადაწყვიტეს: მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული საკითხები საკრებულოს კომისიებში განსახილველად გადანაწილდეს შემდეგი სახით:

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისია:

1. თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.
2. თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ.
3. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის დასაფინანსებლად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ.
4. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემაზე უარის თქმის შესახებ.

საფინანსო საბიუჯეტო კომისია:

1. თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.
2. თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და

სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია:

1. თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.
2. თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ.

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისია:

1. თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.
2. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის დასაფინანსებლად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ.

ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია:

1. თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.
2. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემაზე უარის თქმის შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარე ... არჩილი თხლაშიძე